<u>**პროექტი**</u>

საქართველოს კანონი

საქართველოს კანონში - „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

მუხლი 1.

საქართველოს კანონში „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ (პარლამენტის უწყებანი, №003, 23/02/1996) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. მე-9 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საქართველოს ეროვნული ბანკი მონეტარული პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების შესაბამისად კომერციულ ბანკებს პერიოდულად განუსაზღვრავს განცხადებული და განაღდებული კაპიტალის მინიმალურად აუცილებელ ოდენობას, აგრთვე ხელშეუხებელი კაპიტალისა და რეზერვების შექმნის წესებს.”

მუხლი 2.

ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი **მიხეილ სააკაშვილი**

განმარტებითი ბარათი

საქართველოს კანონში - "კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ" ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე საქართველოს კანონის პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი

კანონპროექტის მიღების მიზეზია 2010 წლის 15 ოქტომბრის კონსტიტუციური კანონის ,,საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შესახებ" მიღება.

ა.ბ) კანონპროეტის მიზანი

საქართველოს 2010 წლის 15 ოქტომბრის კონსტიტუციური კანონით გათვალისწინებული კონსტიტუციის ახალი რედაქციის 95-ე მუხლთან ,,კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისობაში მოყვანა.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი

საქართველოს კონსტიტუციასთან ,,კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ"– საქართველოს კანონის შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, შედის ცვლილებები და დამატებები კანონის მე–9 მუხლში. კონსტიტუციის 95–ე მუხლში ასახული ცვლილებების თანახმად, მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდა შემდეგი სახით ,,საქართველოს ეროვნული ბანკი წარმართავს ქვეყნის მონეტარულ პოლიტიკას ფასების სტაბილურობის უზრუნველსაყოფად და ხელს უწყობს ფინანსური სექტორის სტაბილურ ფუნქციონირებას". აღნიშნული დეფინიციის თანახმად საქართველოს კონსტიტუციაში ქვეყნის ფინანსური პოლიტიკის აღსანიშნავად აღარ გამოიყენება ტერმინი ,,ფულად–საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკა" და მის ნაცვლად დამკვიდრდა ტერმინი ,,მონეტარული პოლიტიკა".

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

წარმოდგენილი კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკების ან ადგილობრივი ბიუჯეტებიდან დამატებითი ხარჯების გაწევას.

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო

წარმოდგენილი კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკების ან ადგილობრივი ბიუჯეტებიდან დამატებითი ხარჯების გაწევას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე

წარმოდგენილი კანონპროექტის მიღება არ იქონიებს გავლენას სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკების ან ადგილობრივი ბიუჯეტების საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე

წარმოდგენილი კანონპროექტის მიღება არ იქონიებს გავლენას სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკების ან ადგილობრივი ბიუჯეტების ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები

კანონპროექტი არ აკისრებს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკების ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება

წარმოდგენილი კანონპროექტის მიღება არ იქონიებს გავლენას იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი)

კანონპროექტი არ ადგენს გადასახადს, მოსაკრებელს ან სხვა სახის გადასახდელს.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს.

დ.ა) კანონპროექტის ავტორი

კანონპროექტის ავტორია ა(ა)იპ - ,,საქართველოს ახალგაზრდა კონსტიტუციონალისტთა ასოციაცია“.

დ.ბ) კანონპროექტის ინიციატორი

კანონპროექტის ინიციატორია საქართველოს პარლამენტის შესაბამისი კომიტეტი.